თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 23 სექტემბრის სხდომის

ოქმი № 8

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021 წლის 23 სექტემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა ჩატარდა დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმა zoom-ის საშუალებით

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 40 წევრი

სხდომას ესწრებოდა 25 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე დანელიას სადისერტაციო ნაშრომის: ,,ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე) შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

/დეკანის მოადგილე, სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 23 სექტემბრის №8 სხდომის დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ
/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე დანელიას სადისერტაციო ნაშრომის: ,,ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე) შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.
/დეკანის მოადგილე, სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ.

/დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი/

დეკანის მოადგილემ ასოცირებულმა პროფესორმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა, ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№16263/10, 20.08.2021) მოითხოვა ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის 1994 წლის კურსდამთვრებულ **მალხაზ თურქიაშვილის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული მონაცემების შექმნა.

მალხაზ თურქიაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის

დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტურის ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ **მალხაზ იოსების ძე თურქიაშვილი** 1989 წელს მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის სწავლების „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში“ სპეციალობაზე (ბრძანება №7/632, 07.08.1989).

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 28 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1994 წლის 4 აგვისტოს №4/444 ბრძანებით საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების კურსდამთავრებულ მალხაზ იოსების ძე თურქიაშვილს მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია, სპეციალობით ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში.

1994 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი აუ№012001 (სარეგისტრაციო №01/854) რეგისტრიებულია მალხაზ იოსების ძე თურქიაშვილის სახელზე.

წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1994 წელს საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოქმედებდა 4 სახელმწიფო საგამოცდო კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია სხვადასხვა სპეციალობების დღის, საღამოს **და დაუსწრებელი სწავლების სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის** 17 ოქმი.

საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ე.მ.კ. გოგიაშვილი შალვა მიხეილის ძე; წევრები: დოც. კ. აჩელაშვილი, დოც. ი. შ. ანანიაშვილი, ა. ა. დავითაია, დოც. ვ. გ. მათურელი, ე.მ.დ. გ. შ. წერეთელი, ე.მ.დ. ვ. გ. პაპავა; მდივანი: დ. გ. კონიაშვილი) მიერ 1994 წლის 15 ივნისს წარმოებულია 1 ოქმი და მისი ნომერია №1.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: ზაუტაშვილი იაკობი პლატონის ძე; წევრები: ბიჭიაშვილი ნოდარ სიკოს ძე, ტატიშვილი ალექსანდრე ზურაბის ძე, გიგიაშვილი ომარ მიხეილის ძე, ღუდუშაური ზაირა თევდორეს ასული, ჩაგელიშვილი ლალი პავლეს ძე, დუნდუა ლიდა კონსტანტინეს ასული, კიკნაძე მიხეილ მიხეილის ძე, კაპანაძე ლია ანდროს ასული) მიერ 1994 წლის 28 ივნისს წარმოებულია 9 ოქმი. არცერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: იასეშვილი ომარი იოსების ძე; წევრები: დოც. პარკაძე გ. ლ., დოც. მაღრაძე მ. ვ., დოც. გოგიჩაიშვილი ვ. ა., უ/მ. მეტეხელი გ. გ., უ/მ. კონიაშვილი გ. გ.; მდივანი: ბოლაშვილი ჯ. ი.) მიერ 1994 წლის 13 და 18 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი. არც ერთ ოქმს არ აქვს მინიჭებული ნომერი.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე: პროფ. გ. მინდელი; წევრები: პროფ. დ. ძნელაძე, პროფ. ნ. პაიჭაძე, პროფ. რ. ჩხაიძე (შრ. ინსტ.), პროფ. ს. ჩოჩოშვილი, პროფ. თ. ხომერიკი, დოც. გ. ჩანადირი, დოც. ბ. შელია, დოც. ე. კუსრაშვილი) მიერ 1994 წელს სულ წარმოებულია 5 ოქმი. მ.შ. 10 ივნისს - 1 ოქმი, 17-22 ივნისს - 1 ოქმი და 24 ივნისს - 3 ოქმი. მათგან მხოლოდ ორ ოქმს აქვს მინიჭებული ნომერი (№1 და №5).

წარმოდგენილი ოქმებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა კომისიის მიერ წარმოებული ოქმების დანომვრა ხდებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამჟამად, დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენა/აღდგენის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მოხდა საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიების მიერ წარმოებული უნომრო ოქმებისთვის (გადაწყვეტილებებისთვის) ნომრების მინიჭება და ნომრის პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება. აღსანიშნავია, ისიც, რომ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ერთ-ერთი ოქმი დათარიღებულია 1997 წლის 17-22 ივნისის რიცხვებით. ინფორმაციის დაზუსტებისას გაირკვა, რომ სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის მუშაობა დამოკიდებული იყო სახელმწიფო გამოცდაზე გამსვლელ სტუდენტთა რაოდენობაზე. სახელმწიფო გამოცდის დამთავრების ბოლოს კი ფორმდებიდა შესაბამისი სათანადო ოქმი სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ. როგორც ჩანს, წარმოდგენილ ოქმში მითითებულ კომისიამ იმუშავა 17 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით, რაც დაფიქსირებულია ოქმზეც, ხოლო გადაწყვეტილება კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიიღო 1994 წლის 22 ივნისს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 22 ივნისი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დადგინა შემდეგი:

1. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად პირველი) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური კიბერნეტიკის (დღე) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) დარჩეს უცვლელი:

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 15 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი -

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 15.06.1994.

2. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 (პირობითად მეორე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში (დღე, საღამო, დაუსწრებელი), ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში (დღე, საღამო, დაუსწრებელი), ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში (დღე, დაუსწრებელი) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №1/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს (მ.შ. მ. თურქიაშვილი) ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №2/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №3/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №4/პ;

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №5/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №6/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №7/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში სპეციალობის (სპეციალიზაცია: საქალაქო, საბინაო და საყოფაცხოვრებო, კომუნალური მომსახურების ეკონომიკა და მართვა) კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №8/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების ეკონომიკა და მართვა საყოფაცხოვრებო და საბინაო კომუნალურ მომსახურებაში, საქალაქო მეურნეობაში სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 28 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 28 ივნისი და ნომრად №9/პ.

3. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... (პირობითად მესამე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური ინფორმტიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემების (დღე, საღამო) სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 13 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 13 ივნისი და ნომრად №1/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამო განყოფილების ეკონომიკური ინფორმატიკა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 18 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 18 ივნისი და ნომრად №2/პ.

4. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს თსუ ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 (პირობითად მეოთხე) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებული მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის (დღე, საღამო, დაუსწრებელი), შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების (დღე, საღამო) სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის

10 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №1, 10.06.1994.

- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დღის განყოფილების შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების სპეციალობის (სპეციალიზაცია: მანქანათმშენებელი მრეწველობის) კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 17-22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 22 ივნისი და ნომრად №2/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს განყოფილების მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 24ივნისი და ნომრად №3/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მანქანათმშენებელი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს 1994 წლის 24ივნისი და ნომრად №4/პ;
- ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის საღამოს (1992-93 სასწავლო წელი) განყოფილების შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების სპეციალობის კურსდამთავრებულებს ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 24 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №46 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №5, 24.06.1994.

5. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს 1994 წლის 10, 13, 15, 18, 17-22, 24, და 28 ივნისს ყოფილი საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის მიერ წარმოებულ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმებში (იხ. 1994 წლის 15 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №... სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი; 2. 1994 წლის 28 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის №2 სახელმწიფო საგამოცდო

კომისიის სხდომის ოქმები; 3. 1994 წლის 13 და 18 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები; 4. 1994 წლის 10, 17-22 და 24 ივნისის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს : თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (N 18156/29 , 14/09/2021) აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლითაც ითხოვს მიენიჭოს:

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი წარჩინებითი:

1. მაღლაკელიძე ლევან 01001091091

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს:

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს:

დიპლომი წარჩინებითი:

1. მაღლაკელიძე ლევან 01001091091

მოისმინეს : თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ირმა მშვენიერაძის წერილი (N 18715/29 , 20/09/2021) აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ, რომლითაც ითხოვს მიენიჭოს:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულს:

№ სტუდენტის გვარი, სახელი | პირადი ნომერი | დამატებითი სპეციალობა

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. მამედოვა ნარმინ 28901119562

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. აბზიანიძე პავლე 60001113732
2. გიქოშვილი თამარი 03001019761

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულს:

№ სტუდენტის გვარი, სახელი | პირადი ნომერი | დამატებითი სპეციალობა

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. მამედოვა ნარმინ 28901119562

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. აბზიანიძე პავლე 60001113732
2. გიქოშვილი თამარი 03001019761

მოისმინეს : თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ტურიზმის სკოლიდან შემოსული წერილი, რომლითაც ითხოვენ შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა მიენიჭოთ:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს:

N	*გვარი, სახელი*	*პირადი ნომერი*	*დამატებითი სპეციალობა (Minor)*
	დიპლომი ჩვეულებრივი		
1	კობიაშვილი მერაბი	01017056960	

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს:

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს:

N	*გვარი, სახელი*	*პირადი ნომერი*	*დამატებითი სპეციალობა (Minor)*
		<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>	
1	კობიაშვილი მერაბი	01017056960	

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი, რომლის თანახმად , ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№12999/10, 13.07.2021) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ ნადეჟდა მამაიაშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ნადეჟდა გიორგი ასული მამაიაშვილი 1999 წლის მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მართვის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/732, 05.08.1999).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნადეჟდა მამაიაშვილს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 12 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №11) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 17 ივლისის №4/808 ბრძანებით მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს ადმინისტრატორის კვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში ნადეჟდა მამაიაშვილის სახელზე რეგისტრირებულ დიპლომში (დიპლომი BN№10328, სარეგისტრაციო №01/163) აღნიშნულია, რომ „ნადეჟდა მამაიაშვილი 1999 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე და 2003 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია“.

ნადეჟდა მამაიაშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმით (№11, 12.06.2003) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/808, 17.07.2003) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №11, 12.06.2003) გადაწყვეტილება და დღის განყოფილების (დასწრებული სწავლება) კურსდამთვრებულებს (მ.შ. ნადეჟდა მამაიაშვილი) ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა

კავშირგაბმულობაში სპეციალობით, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობით, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.

პროფესორმა ხარაიშვილმა თხოვნით მიმართა ფაკულტეტის საბჭოს ნადეჟდა მამაიაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) შესახებ. ასევე, ითხოვა, რომ განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№11, 12.06.2003) დაფიქსირებულ ყველა დღის განყოფილების კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. შესწორდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრბულ ნადეჟდა მამაიაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობით, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობით, ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 12 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში დაფიქსირებულ ყველა დღის განყოფილების

კურსდამთავრებულზე (იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა კავშირგაბმულობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №11, 12.06.2003) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს:თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი, რომლის თანახმად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№17700/10, 09.09.2021), სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულ თეონა ამირანაშვილისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხისა და სპეციალობის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტემენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალებიდან გაირკვა, რომ თეა ამირანაშვილი 1999 წლის მისაღები გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მათემატიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/732, 05.08.1999). 2000 წელს თეონა ამირანის ასული ამირანაშვილი გადაყვანილი იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის დღის სწავლების II კურსზე განსხვავებული საგნების ჩაბარების უფლებით მექანიკა მათემატიკის ფაკულტეტიდან (ბრძანება №4/840, 20.09.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების 2002-

2003 სასწავლი წლის კურსდამთავრებულ თეონა ამირანაშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით (სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში), ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 23 ივლისის №4/844 ბრძანებით - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში) და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი B №10816 (სარეგისტრაციო №01/404) რეგისტრირებულია თეონა ამირანაშვილის სახელზე.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია თეონა ამირანაშვილის სახელზე შევსებული დიპლომის დანართი, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: „თეონა ამირანაშვილი, დაბადებული 08.11.81, 1999 წელს ჩაირიცხა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, 2000 წელს გადმოვიდა წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობაზე ..... 2003 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო ეკონომიკა და მართვა და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

თეონა ამირანაშვილის სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სპეციალობა არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში (საბიუჯეტო განყოფილება) სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 20 ივნისის შემაჯამებელ სხდომის ოქმით (ოქმი უნომროა) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/844, 23.07.2003) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დაკორექტირდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობაში (საბიუჯეტო განყოფილება) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

პროფესორმა ე. ხარაიშვილმა თხოვნით მიმართა ფაკულტეტის საბჭოს, რათა შესწორდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობაში (საბიუჯეტო განყოფილება) სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება და აღნიშნული ოქმში დაფიქსირებულ

კურსდამთვრებულებს (მ.შ. თეონა ამირანაშვილი) ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით (სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში)“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში)“. განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში დაფიქსირებულ საბიუჯეტო განყოფილების ყველა კურსდამთვრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

3. შესწორდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2003 წლის კურსდამთავრბულ თეონა ამირანაშვილისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია და ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაციით (სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში)“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით (სპეციალობა: წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში)“.

4. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 20 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში დაფიქსირებულ ყველა საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთვრებულზე (იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკა და მართვა მრეწველობაში სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №..., 20.06.2003) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე დანელიას სადისერტაციო ნაშრომის: ,,ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე) შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

/დეკანის მოადგილე, სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ასოცირებულმა პროფესორმა, მ. ლობჟანიძემ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე დანელიას სადისერტაციო ნაშრომის: ,,ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე) შემფასებლები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

შემფასებლები:

სტუ პროფესორი ნაზი ჭიკაიძე

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი რევაზ გველესიანი (თავმჯდომარე)
2. პროფესორი თემურ შენგელია (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე (მდივანი)
4. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
5. ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
7. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
9. სტუ ასოცირებული პროფესორი ლელა კოჭლამაზიშვილი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა,

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ სალომე დანელიას სადისერტაციო ნაშრომის: ,,ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში" (მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე) შემფასებლები და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

შემფასებლები:

სტუ პროფესორი ნაზი ჭიკაიძე

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. პროფესორი რევაზ გველესიანი (თავმჯდომარე)
2. პროფესორი თემურ შენგელია (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე (მდივანი)
4. ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
5. ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი
6. ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
7. ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
8. ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
9. სტუ ასოცირებული პროფესორი ლელა კოჭლამაზიშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ.ლობჟანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ.მაისურაძე